1917 წლის 18 დეკემბრის ერზინჯანის დროებითი ზავი

1917 წლის თებერვლის დემოკრატიულმა რევოლუციამ დაამხო რუსეთის თვითმპყრობელური რეჟიმი და იმედი გაუღვიძა იმპერიაში მცხოვრებ არარუს ხალხებს, მოეპოვებინათ ეროვნული დამოუკიდებლობა. პოლონეთში, ფინეთში, უკრაინაში, ბალტიისპირეთში იწყება ბრძოლა ეროვნული სახელმწიფოს შექმნისათვის. ზურაბ ავალიშვილის დაკვირვებით, „რუსეთში თებერვლის რევოლუციის შემდეგ, ბუნებრივად მიმდინარეობდა საზოგადოებრივი აზრის პოლიტიკური კრისტალიზაცია თვით საქართველოში და მთელ რუსეთში გაფანტულ ქართულ კოლონიებში. ამ კრისტალიზაციის ღერძი სწორედ დამოუკიდებელი საქართველოს იდეა იყო. ე. ი. საქართველოში საკუთარი სახელმწიფოებრივი მართლწესრიგის შექმნა. ოღონდ საქართველო უნდა დარჩენილიყო საერთო რუსულ სახელმწიფოებრივ კავშირში."[1]

კავკასიაში მეფის ნაცვალი, დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რამდენიმე დღეს მალავდა და არ აქვეყნებდა პეტერბურგიდან მიღებულ დეპეშას რუსეთში მომხდარი რევოლუციის შესახებ, რადგანაც ეშინოდა, ხალხის მასებში არ დაწყებულიყო მღელვარება.

რუსეთის დროებითი მთავრობა არ აპირებდა უარის თქმას კავკასიაში თავის კოლონიურ პოლიტიკაზე, მაგრამ იძულებული იყო, რევოლუციური მოძრაობის დაწყების შიშით, დათმობაზე წასულიყო და კავკასიის მართვა-გამგებლობაში გარკვეული ცვლილებები შეეტანა.

1917 წლის მარტში რუსეთის დროებითმა მთავრობამ, ამიერკავკასიის მმართველობის რწმუნებით, შექმნა ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი „ოზაკომი". ამ აქტით ერთგვარად გაფართოვდა ადგილობრივი წარმომადგენლების მონაწილეობა მმართველობაში.

1917 წლის 12 მარტს აღდგა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია, რომელიც გაუქმებული იყო საქართველოში რუსეთის ბატონობის დასაწყისში.

1917 წლის აპრილში სოციალ-დემოკრატიული და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიების ინიციატივით შეიქმნა „ინტერპარტიული საბჭო", ხოლო აგვისტოში შედგა ამ საბჭოს დამფუძნებელი კონფერენცია. ინტერპარტიულ საბჭოში გაერთიანდნენ: სოციალ-დემოკრატები, სოციალ-ფედერალისტები, ეროვნული დემოკრატები, და სხვა პოლიტიკური პარტიები, გარდა ბოლშევიკური პარტიისა.

---

[1] ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბ., 1929, გვ. 5.

1917 წლის 7 ნოემბერს, როდესაც რუსეთში ბოლშევიკებმა ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს, ამიერკავკასიის სხვადასხვა პოლიტიკურმა პარტიამ და ორგანიზაციამ გადაწყვიტა ბოლშევიკებს გამიჯნოდა და შეექმნა დროებითი მმართველობა.

15 (28) ნოემბერს შეიქმნა ამიერკავკასიის კომისარიატი, რომელიც ასრულებდა ამ მხარის მართვრობის ფუნქციებს. კომისარიატის თავმჯდომარე და შრომისა და საგარეო საქმეების კომისრად დაინიშნა ე. გეგეჭკორი, სამხედრო და საზღვაო საქმეების კომისრად — დ. დონსკოი, შინაგან საქმეთა — ა. ჩხენკელი, ფინანსთა — ხ. კარჩიკიანი, იუსტიციის — შ. ვ. ალექსიმესხიშვილი, ვაჭრობისა და მრეწველობის — გ. ჯაფაროვი და სხვ.

18 ნოემბერს (1 დეკემბერს) ამიერკავკასიის მიერ გამოცემულ პირველ დეკლარაციაში ნათქვამი იყო, რომ „კომისარიატის ხელისუფლება დროებითია, სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების მოწვევამდე. იმ შემთხვევაში, თუ უკანასკნელის მოწვევა შეუძლებელი გახდება, მაშინ იგი შეინარჩუნებს თავის რწმუნებულებას დამფუძნებელი კრების მოწვევამდე. ამიტომ, — ნათქვამია დეკლარაციაში, — მისი ხელისუფლება დროებითია და იგი მიზნად ისახავს გადაუდებელი საქმეების მოწესრიგებას".[2]

1917 წლის 19 ნოემბერს (2 დეკემბერს) თბილისში მოიწვიეს საქართველოს ეროვნული ყრილობა, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები. ყრილობაზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა ნოე ჟორდანია. მან აღნიშნა, რომ „საქართველოს ინტერესები გადახლართული იყო რუსეთის ინტერესებთან, ამდენად, როცა ვარკვევთ ჩვენი ერის მდგომარეობას, გამოვდივართ რუსეთის საერთო ინტერესებიდან" ნოე ჟორდანიას მიაჩნდა, რომ ახლა საქართველოს წინაშე იგივე დილემა იდგა, რაც ასი წლის წინათ, ე. ი. საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე: „ან დასავლეთი, მაშასადამე რუსეთი, ან აღმოსავლეთი"[3]. ყრილობაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრებაზე მოეთხოვათ საქართველოსათვის ფართო თვითმმართველობა, რათა მიეღოთ უფლება, გამოეცათ საკუთარი კანონები, შეექმნათ ეროვნული ადმინისტრაცია, არმია, სასამართლო. საქართველოს ეროვნული თვითგამორკვევა უნდა განხორციელებულიყო რუსეთის ფარგლებში, პოლიტიკური ავტონომიის აღიარებით. ყრილობის დროს ცხარე კამათი გაიმართა საქართველოს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით. ბევრი ფიქრობდა, რომ ეს საკითხი მომწიფებულია. ზოგი კი თვლიდა, რომ ამისათვის ჯერ კიდევ

---

[2] Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Тб., 1990 г., документ №7.

[3] გაზ. „ერთობა", 1917 წ. 23/XI, №202.

არაა ხელსაყრელი პირობები, რადგანაც ამ დროს კავკასიის ფრონტზე იმყოფებოდა რუსეთის ნახევარმილიონიანი არმია, რომელიც წინ აღუდგებოდა ამ გადაწყვეტილების განხორციელებას.

ამ დროს პირველი მსოფლიო ომი გრძელდებოდა. კავკასიაში მიმდინარეობდა რუსეთ-თურქეთის ომი. რუსეთთან ზავის დადებით და ომის შეწყვეტით განსაკუთრებით დაინტერესებული იყო თურქეთი, რადგან იგი ერთდროულად ომს აწარმოებდა ანტანტის სახელმწიფოებთან და დამარცხებას დამარცხებაზე განიცდიდა.

1917 წლის 17 (30) ნოემბერს კავკასიის ფრონტის ჯარების მთავარსადალმა გენერალმა პრჟევალსკიმ წერილი მიიღო კავკასიის ფრონტის თურქეთის ჯარის სარდალ გენერალ ვეჰიბ ფაშასაგან, რომელიც წინადადებას იძლეოდა, შეწყვეტილიყო საომარი მოქმედებები და დაეწყოთ მოლაპარაკება, დროებითი ზავის დადების მიზნით.[4]

ასეთ მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა თურქეთი, როდესაც 1917 წელს რუსეთში მოხდა რევოლუცია. „რუსეთის რევოლუციასთან დაკავშირებით ახალგაზრდა თურქებს კვლავ გაელვიძათ იმედი, რომ ისინი შეძლებდნენ რუსეთის ფრონტის გარღვევას და ტერიტორიების შეერთებას კავკასიიდან, ვიდრე ჩინეთის საზღვრამდე. თუ აქამდე ახალგაზრდა თურქთა შორის კიდევ იყვნენ ისეთები, რომლებიც გერმანიის ზეგავლენით კავკასიის ფრონტის შესუსტების ხარჯზე არაბეთის ფრონტის გაძლიერებას მოითხოვდნენ, ამიერიდან თურქეთის მმართველი წრეები მთლიანად თურანის შექმნის ფსიქოზმა შეიპყრო."[5] მაგრამ თურქეთის მმართველ ძალებს კარგად ესმოდათ, რომ რუსეთის არმიის დამარცხება კავკასიაში შეუძლებელი იყო, ამას მოწმობდა რუსეთ-თურქეთის ომების მწარე გამოცდილება. „აქედან გამომდინარე, თურქეთი ყოველ ღონეს ხმარობს, რათა ისარგებლოს სამოქალაქო ომის დაწყებით რუსეთში და ხელი შეუწყოს რუსეთის არმიის დაშლას კავკასიის ფრონტზე... ამიერკავკასიაზე პირდაპირი შეტევა, ყოველგვარი წინასწარი პოლიტიკური და იდეოლოგიური მომზადების გარეშე, აშკარას გახდიდა მათ ნამდვილ მიზნებს და გამოიწვევდა ანტითურქული განწყობილების ზრდას "ეს თავის მხრივ ხელს უშლიდა კავკასიის ფრონტის დაშლას".[6]

ყოველივე ამის გამო, თურქეთის დაპყრობითი პოლიტიკა კავკასიის მიმართ მეტად შენიღბული იყო და გარეგნულად მშვიდობისმოყვარე,

---

[4] Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Тб., 1990 г., документ №8.

[5] ო. გიგინეიშვილი, თურქიზმი და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა, თბ., 1963, გვ. 154.

[6] იქვე, გვ. 157.

კეთილმეზობლურ ელფერს ატარებდა და, სამწუხაროდ, ამას ამიერკავკასიის პოლიტიკური მესვეურები გვიან მიხვდნენ.

პირველი მსოფლიო ომის დროს თურქეთი გერმანიისა და მისი მოკავშირეების მხარეზე გამოვიდა ანტანტის სახელმწიფოების წინააღმდეგ. ამ ომში მას თავისი დაპყრობითი გეგმები ჰქონდა. ახალგაზრდა თურქები და განსაკუთრებით კი ტრიუმვირატის წევრები: ენვერ ფაშა, ჯემალ ფაშა და თალაათ ფაშა ოცნებოდნენ ხელში ჩაეგდოთ კავკასია, ყირიმი, ვოლგისპირეთი, შუა აზია და შეექმნათ ე. წ. თურანის სახელმწიფო, აღედგინათ თავიანთი ბატონობა ეგვიპტეზე, ტუნისზე და სხვ.

ომის დაწყებისთანავე, 1914 წლის ნოემბერში თურქეთის არმია შეტევაზე გადმოვიდა. მისი მიზანი იყო გაერღვია კავკასიის ფრონტი, თბილისსა და ბაქოზე გავლით, გაჭრილიყო შუა აზიასა და ვოლგისპირეთისაკენ. ამ გეგმის ხელმძღვანელი და სულის ჩამდგმელი იყო ენვერ ფაშა. დასაწყისში ოსმალებმა გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს, რუსეთის ჯარები იძულებული შეიქნენ, უკან დაეხიათ. მაგრამ მალე ოსმალთა შეტევა შეჩერებულ იქნა. 1914 წლის ბოლოსა და 1915 წლის იანვრის დასაწყისში რუსეთის არმია შეტევაზე გადავიდა, თურქეთის 23-ე არმია სარაყამიშთან განადგურებულ იქნა. ამის შემდეგ თურქები დამარცხებას დამარცხებაზე განიცდიდნენ. რუსეთის ჯარებმა 1915 წლის 16 თებერვალს დაიკავეს არზრუმი, 18 აპრილს — ტრაპიზონი, განთავისუფლებულ იქნა ვანის ტბის მიდამოები, ბითლისის მხარე და სხვა.

თურქები დამარცხებას განიცდიდნენ სხვა ფრონტებზეც. მათი ცდა, შეჭრილიყვნენ ეგვიპტეში, მარცხით დამთავრდა. ინგლისელები შეტევაზე გადავიდნენ, უკუაგდეს თურქეთის ჯარები და პალესტინა-მესოპოტამიაში შეიჭრნენ. 1917 წელს ინგლისელებმა განაახლეს შეტევა და 1917 წლის გაზაფხულზე დაიკავეს ბაღდადი, შემდეგ — იერუსალიმი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თურქეთის სარდლობამ წინადადებით მიმართა რუსეთის კავკასიის სარდლობას, დაეწყოთ მოლაპარაკება დროებითი ზავის დადების მიზნით.

1917 წლის 21 ნოემბერს (4 დეკემბერს) ეს წინადადება განხილულ იქნა ამიერკავკასიის სხდომაზე და გადაწყდა, დაწყებულიყო მოლაპარაკება დროებითი ზავის დადების მიზნით.[7]

22 ნოემბერს (5 დეკემბერს) კავკასიის ფრონტის მთავარსარდალმა გენერალმა პრჟევალსკიმ აცნობა თურქეთის კავკასიის მე-3 არმიის მთავარსარდალს ვეჰიფ ფაშას, რომ მან მიიღო მისი წინადადება და თანახმაა დაიწყოს მოლაპარაკება.

---

[7] Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Тб., 1990 г., документ №8 и №10.

იმავე დღეს კავკასიის ჯარების მთავარსარდალმა გენერალმა პრჟევალსკიმ ამის შესახებ დეპეშით აცნობა ინგლისის მესოპოტამიის ჯარების მთავარსარდალს. დეპეშაში აღნიშნული იყო, ამიერკავკასიის კომისარიატი მზადაა დაიწყოს მოლაპარაკება დროებითი ზავის დადების მიზნით იმ პირობით, რომ ოსმალეთის მხარე არ მოახდენს არავითარ სტრატეგიულ გადაადგილებას, რომელიც ზიანს მიაყენებს ინგლისის არმიას.[8]

იმავე დღეს ამიერკავკასიის კომისარიატმა მოწოდებით მიმართა კავკასიის არმიასა და მოსახლეობას, გამოიჩინონ სიმტკიცე, მამაცობა და შრომითი ენთუზიაზმი, რათა შესაძლებელი გახდეს სამშვიდობო მოლაპარაკების წარმატებით დამთავრება.[9]

27 ნოემბერს (10 დეკემბერს) კონფერენციის დელეგაციისათვის მომზადებულ იქნა ინსტრუქცია, დროებითი ზავის პირობების შემუშავების მიზნით.[10]

29 ნოემბერს (12 დეკემბერს) ღამის პირველ საათზე ამიერკავკასიის დელეგაცია საგანგებო მატარებლით თბილისიდან გაემგზავრა, 30 ნოემბერს საღამოს ერზრუმში ჩავიდა, ხოლო 1 დეკემბერს იქიდან მანქანით — ერზინჯაში.

ამიერკავკასიის დელეგაცია ხუთი წევრისაგან შედგებოდა: სამხარეო ცენტრების მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატთა საბჭოსაგან სამი კაცი, მთავარსარდლობიდან — ორი. დელეგაციის მეთაური იყო კავკასიის შტაბის უფროსი გენერალ-მაიორი ვიშინსკი, წევრები კავკასიის შტაბის პოლკოვნიკი — ბერზენგური, პრივატ-დოცენტი ბიქტორ თევზაია, ჯარისკაცთა საბჭოს ცენტრიდან ალ. სმირნოვი და გლეხთა საბჭოს ცენტრიდან ამშაკ ჯემალიანი. როგორც ექსპერტი, მოლაპარაკებაში მონაწილეობდა პოლკოვნიკი ესაძე, სამხედრო ისტორიკოსი და კავკასიის შტაბის თარჯიმანი კაპიტანი ვედრინსკი.

თურქეთის დელეგაციას მეთაურობდა კავკასიის მე-3 არმიის შტაბის უფროსი პოლკოვნიკი (მირილივა) ომერ ლუთფი ბეი, გენერალური შტაბის მაიორი (ბინბაში) ჰოსრევ ბეი და თურქეთის არმიის თარჯიმანი კაპიტანი (იუზბაში) იაკუბ ბეი.

აღსანიშნავია, რომ ბ. თევზაიას ერზინჯანში შეხვდა რუსეთის პირველი კორპუსის უფროსი გენერალი ლიახოვი, რომელმაც მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. იგი წერს: „ყველას გაუგია პოლკოვნიკ ლიახოვის სახელი, სპარსეთის რევოლუციის ისტორია და მეჯლისის გარეკა. მე რაღაც არ მჯეროდა, რომ ასეთი „ცნობილი პიროვნება" იდგა

---

[8] Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Тб., 1990 г., документ №11.

[9] იქვე.

[10] იქვე, დ. №13.

ჩემ წინ. ეს არ შეეფერებოდა რუსეთის დღევანდელ ვითარებას. რამდენიმე დღის განმავლობაში ვაკვირდებოდი ამ ადამიანის ყოველივე მოქმედებას, ვისმენდი მის სიტყვების და დავრწმუნდი, რომ ეს პიროვნება მაგარი ხასიათიისა და მეტისმეტად მამაცი, გაბედული, სამხედრო საქმის ზედმიწევნით ცოდნა ეტყობა. დემოკრატიულ ორგანიზაციებთან ლოიალური დამოკიდებულება აქვს. მიუხედავად ამისა, მჯერა, რომ თუ გარემოებამ ხელი შეუწყო, მეორე მიჯლისსაც გარეკავს და ამისათვის ბოდიშს არ მოიხდის."[11]

ირანში მყოფი რუსეთის კაზაკთა კორპუსის ყოფილი მეთაური მართლაც მეტად საყურადღებო პიროვნება იყო და მან ირანის რევოლუციის დათრგუნვაში დიდი წვლილი შეიტანა.

2 (15) დეკემბერს, საღამოს ცხრა საათზე, გაიმართა პირველი სხდომა. რწმუნების სიგელების გასინჯვის შემდეგ დელეგატები შეუდგნენ მუშაობას. ამიერკავკასიის კომისარიატის დელეგაციის მეთაურმა გენერალმა ვიშინსკიმ ოსმალეთის წარმომადგნელებს გააცნო დროებითი ზავის პროექტი. ოსმალეთის დელეგაციამ განაცხადა, რომ ძირითადად ღებულობს წარმოდგენილ პროექტს, მაგრამ ცალკეული მუხლების განხილვის დროს გააცნობს თავის შენიშვნებს.

სხდომაზე მცირე დისკუსია გამოიწვია, თუ რამდენი ხნით უნდა დადებულიყო ზავი. საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებულია, რომ დროებითი ზავი უნდა დაიდოს განსაზღვრული ვადით — რამდენიმე კვირით, ან თვით. ასეთია დროებითი ზავის არსი. მაგრამ ამიერკავკასიის დელეგაციამ მოითხოვა უვადო დროებითი ზავი, ე. ი. სანამ არ დაიდებოდა საბოლოო სამშვიდობო საზავო ხელშეკრულება. ოსმალეთის დელეგაციამ მიიღო ეს წინადადება. ამრიგად, დროებითი ზავი გაგრძელდებოდა საბოლოო საზავო ხელშეკრულების დადებამდე.

3 (16) დეკემბერს გაიმართა მეორე სხდომა. დიდი კამათი გამოიწვია ხელშეკრულების იმ მუხლმა, რომელიც ეხებოდა სხვა ფრონტებზე ჯარის გადაყვანას. ხელშეკრულების პროექტის მიხედვით, ოსმალეთს არ ჰქონდა უფლება, გადაეყვანა თავისი ჯარები მესოპოტამიის ინგლისის ფრონტზე, რადგან მსოფლიო ომში ინგლისი რუსეთის მოკავშირე იყო, როგორც ანტანტის სახელმწიფოების წევრი. ოსმალეთის დელეგაცია ამიერკავკასიის დელეგატებს არწმუნებდა, რომ ინგლისი არ არის დაცვის ღირსი. რუსეთის კავშირი ინგლისთან არაბუნებრივია, რუსეთისათვის უფრო ხელსაყრელი იქნება ოსმალეთთან კავშირი. ოსმალეთის დელე-

---

[11] ბ. თევზაია, დროებითი ზავის ჩამოგდება ოსმალეთთან (დელეგატის მოგონება), გაზ. დროება, 1917 წლის 22 დეკემბერი, № 223.

გატები აცხადებდნენ, რომ „ჩვენ კავკასიის ფრონტიდან რომ წავიყვანოთ ჯარი, ეს თქვენთვის უკეთესი იქნებაო“. [12]

ამ შემთხვევაში ოსმალები სავსებით მართალი იყვნენ, მაგრამ ამიერკავკასიის დელეგაცია ამ საკითხში არავითარ დათმობაზე არ წავიდა და ეს მუხლი უცვლელად იქნა მიღებული. ამან საშუალება მისცა ოსმალებს, შესვენების შემდეგ, გაეძლიერებინათ კავკასიის არმია და დაეწყოთ შეტევა.

დროებითი ზავის პროექტის სხვა მუხლებს არსებითი კამათი არ გამოუწვევია.

სხდომაზე ოსმალეთის დელეგაციამ წინადადება შეიტანა — იმ შემთხვევაში, თუ ბრესტ-ლიტოვსკის კონფერენციაზე, რომელიც მიმდინარეობს რუსეთსა და გერმანიის მოკავშირე სახელმწიფოებს შორის, დაიდება ზავი, იგი სავალდებულო იქნება მათთვისაც“.[13]

ამიერკავკასიის დელეგაციის წევრებმა განაცხადეს, რომ „ჩვენ არ ვიცით შინაარსი ამ ხელშეკრულებისა და არავითარი ცნობა არა გვაქვს იმის შესახებ, თუ რა პირობებში ხდებოდა მისი შემუშავებაო... ჩვენ უნდა ვიცოდეთ მისი შინაარსი, ბრმად დამორჩილება რაიმე საერთაშორისო ხელშეკრულების ჩვენ არ შეგვიძლია.“[14]

ამაზე თურქეთის დელეგაციამ შემდეგი პასუხი გასცა: „ეს ხელშეკრულება ამ მოკლე ხანში შემუშავებული იქნება და ხელმოწერილი რუსეთსა და ცენტრალური სახელმწიფოების მთავრობის წარმომადგენელების მიერ.“[15]

ხანგრძლივი დისკუსიის შემდეგ, ამიერკავკასიის დელეგაცია დათმობაზე წავიდა და მიღებულ იქნა ოსმალეთის წინადადება შემდეგი ფორმულირებით: „თუ რუსეთის რესპუბლიკასა და ცენტრალურ სახელმწიფოებს შორის დაიდება საერთო ზავი, მაშინ ყველა მისი პუნქტი სავალდებულო გახდება კავკასიის ფრონტისათვის.“[16]

ამ მუხლის შეტანა ხელშეკრულებაში ამიერკავკასიის დელეგაციის აშკარა შეცდომა იყო. დელეგატებისადმი შედგენილ ინსტრუქციაში არაფერი იყო ნათქვამი ამის შესახებ, ე. ი. დელეგაციამ არ დაიცვა მათთვის მიცემული დანასაქმი.

შემდგომ საერთაშორისო კონფერენციაზე ოსმალეთმა კარგად გამოიყენა ეს მუხლი ამიერკავკასიის ქვეყნების ინტერესების საზიანოდ.

---

[12] დროება, 1917 წ. 24 დეკემბერი, №225.

[13] იქვე.

[14] იქვე.

[15] იქვე.

[16] Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Тб., 1990 г., документ №11.

1917 წლის 5 (18) დეკემბერს ერზინჯანში 15 საათზე დაიდო დროებითი ზავი ამიერკავკასიის დელეგაციასა და ოსმალეთის წარმომადგენლებს შორის. იგი შედგება ორი ნაწილისაგან. ხელშეკრულების ძირითადი ტექსტი და აქტი სადემარკაციო ხაზის შესახებ. დოკუმენტი შედგენილია რუსულ და თურქულ ენებზე.

ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ამიერკავკასიის კომისარიატის მხრიდან: კავკასიის არმიის შტაბის უფროსმა გენერალ-მაიორმა ვიშინსკიმ, 156-ე ელისბედის ქვეითი პოლკის უფროსმა პოლკოვნიკმა ბერზენგურიმ, ჯარისკაცმა ალექსანდრე სმირნოვმა, პრივატ-დოცენტმა ბ. თევზაიამ და კავკასიის არმიის თარჯიმანმა კაპიტანმა ვედრინსკიმ, ხოლო ოსმალეთის მხრიდან — ოსმალეთის მე-3 არმიის თარჯიმანმა კაპიტანმა იაკუბ ბეიმ.[17]

აღსანიშნავია, რომ კომისარიატის მხრიდან ხელშეკრულებას ხელი მოაწერა ალექსანდრე სმირნოვმა. ჩვენი აზრით, იგი იყო ამიერკავკასიის სამხარეო ცენტრის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს წევრი, რომლის თავმჯდომარე იყო ნოე ჟორდანია და, სწორედ ამიერკავკასიის სამხარეო ცენტრის რწმუნებით, მან ხელი მოაწერა ამ ხელშეკრულებას. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარია ამ პიროვნების მონაწილეობა ამ საქმეში.

ხელშეკრულებას, აგრეთვე, ხელი მოაწერა ბიქტორ თევზაიამ, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრმა. შესაძლებელია, იგი ნოე ჟორდანიას რეკომენდაციით შეიყვანეს დელეგაციის შემადგენლობაში, ანდა ამიერკავკასიის პოლიტიკური პარტიების სახელით.

ამ დროს ჟორდანია არა მარტო საქართველოს, არამედ ამიერკავკასიის პოლიტიკურ ცხოვრებაში ავტორიტეტითა და გავლენით სარგებლობდა. ვფიქრობთ, სწორედ მისი ინიციატივით უნდა ყოფილიყო შეყვანილი ეს ორი პიროვნება საზავო დელეგაციის შემადგენლობაში. მათი შეყვანით ამიერკავკასიის დელეგაცია უფრო წარმომადგენლობითი ხდებოდა და დემოკრატიულ პრინციპებს ეფუძნებოდა.

ერზინჯანის დროებითი ზავის დადების შედეგად წყდებოდა საომარი ოპერაციები შავი ზღვიდან, ვიდრე ვანის ტბის ნაპირებამდე. დადგინდა სადემარკაციო საზღვარი თურქეთსა და ამიერკავკასიას შორის. იგი ძალაში დარჩებოდა საბოლოო სამშვიდობო ხელშეკრულების დადებამდე. ხოლო თუ რომელიმე მათგანი დააპირებდა ხელშეკრულების დარღვევას, მაშინ მეორე მხარე უნდა გაეფრთხილებინა საომარი მოქმედებების დაწყებიდან 14 დღით ადრე.[18]

---

[17] იქვე, დ. № 14; Tülay Duran, Balşeviklerin Osmalı Devleti ile Yaptıkları Ilk Anlaşma, (Belgelerle) Türk Tarihi Dergisi, n 37, Ekim 1970, s. 16-20.

[18] Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Тб., 1990 г., с. 19.

აი, როგორ აფასებს ერზინჯანის დროებითი ზავის მნიშვნელობას ამ ხელშეკრულების ერთ-ერთი ხელისმომწერი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი ბ. თევზაია: „ოსმალეთის წარმომადგენლებსა და ჩვენ შორის დადებულ იქნა ხელშეკრულება, რომლის ძალით კავკასიის ფრონტზე და შავ ზღვაზე სამხედრო მოქმედება შეწყვეტილია საბოლოო ზავის ჩამოგდებამდის. ამნაირად ჩვენი ღრმა რწმენით კავკასიის საზღვრებში ომს ბოლო მოეღო და თანდათან გადავდივართ მშვიდობიანობის ხანაში."[19]

ბ. თევზაია ფიქრობს, რომ ზავი არ დაირღვეოდა და ომი აღარ გაგრძელდებოდა, რადგან „არც ჩვენ და არც ოსმალეთს არა გვაქვს შესაფერისი ძალა დაიწყოს შეტევა და დაარღვიოს ხელშეკრულება. ორივე მხარის დასუსტება თავდებია დადებული პირობის პატიოსანი შესრულებისა."[20]

ბ. თევზაია მსჯელობს, თუ რამდენად რეალურია ოსმალეთის მხრიდან ომის დაწყება და ომის შემთხვევაში რა შედეგი მოჰყვება მას.

„სხვისი კუთხის დაპყრობას, — წერს იგი, — ძალა უნდა. ეს ძალა ოსმალეთს ნაკლებად მოეპოვება. მთელი მისი ენერგია უნდება მესოპოტამიის და სირიის ფრონტების დაცვის ინტერესებს გაშმაგებული იერიშებისაგან. ამასთან უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენი ცნობით, ოსმალეთის ჯარმა დაკარგა ძველებური ბრძოლის უნარი და დღეს სხვებზე არანაკლებ ოცნებობს ზავის ჩამოგდებაზე. სასწაული იქნება, რომ ოსმალეთის დაღლილმა ჯარმა დაიწყოს ახალი შეტევა ჩვენ ფრონტზე, რომ კავკასიის დემოკრატია მთელი ძალ-ღონით დაიცავს თავის რევოლუციურ არსებობას... ამასთან ოსმალეთის მმართველ წრეებს მხოლოდ ოცნებაში შეუძლიათ იფიქრონ იმაზე, რომ შეიძინონ ახალი ქვეყნები. ამათ კარგად უნდა იცოდნენ, რომ არც ერთი ევროპული სახელმწიფო არ დათანხმდება, რომ ოსმალეთის იმპერიამ ახალი კოლონიები შეიძინოს."[21]

ამრიგად, ბ. თევზაია სავსებით დარწმუნებულია, რომ ოსმალეთს არ ძალუძს კავკასიის წინააღმდეგ ომის დაწყება და თუ იგი ამას მოიმოქმედებს საკადრის პასუხს მიიღებს.

ბ. თევზაიას სჯერა ოსმალეთის მშვიდობისმოყვარე პოლიტიკისა: „ოსმალეთის წარმომადგენელმა შტაბის უფროსმა ომერ ლუთფი ბეიმ გამომიცხადა, მოლაპარაკების დროს: „ჩვენ მთავრობას სურს თქვენთან შეკრას ზავი უანექსიოდ და უკონტრიბუციოდ. იმედია, რუსეთის დემოკრატია არ დასტოვებს უყურადღებოდ ამ განცხადებასო". ჩვენ კარ-

---

[19] დროება, 1917 წ. 17 დეკემბერი, №219.
[20] იქვე.
[21] იქვე, №216.

გად ვიცით, რომ დიპლომატებს ბუნებრივად სჩვევიათ თავისი ნამდვილი აზრის დამალვა. მათი სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა. მაგრამ ამ შემთხვევაში მე მჯერა ლუთფი ბეის განცხადებისა. ეს შეეფერება ოსმალეთის დღევანდელ პოლიტიკურ-ეკონომიკურ და სამხედრო მდგომარეობას."[22]

ბ. თევზაია სწორად ვერ აფასებს იმდროინდელი ოსმალეთის სამხედრო-პოლიტიკურ მდგომარეობას, მისი მთავრობის პოლიტიკას კავკასიის მიმართ და დარწმუნებულია ომერ ლუთფი ბეის გულწრფელობაში. სამწუხაროდ, კავკასიაში მომხდარმა მომდევნო ამბებმა ნათლად დაგვანახა, რომ ოსმალეთის წარმომადგენლების სიტყვები სხვა იყო, საქმე კი — სხვა.

ერზინჯანში ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ ხელმოწერილი დროებითი ზავი ოსმალეთთან იყო პირველი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც მან უცხო სახელმწიფოსთან დადო და ამდენად მას ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

M. SVANIDZE

THE ERZINCAN ARMISTICE CONCLUDED WITH TURKEY ON 18 DECEMBER 1917

Summary

The paper deals with the political situation in the Caucasus, in particular Georgia, prior to the commencement of talks in Erzincan. As a result of the talks between the delegations of Transcaucasia and Turkey in Erzincan on 18 December 1917 an armistice was concluded and hostilities ceased at tne Caucasian front. This was of major significance both for Transcaucasia and Turkey. These development are studied in detail in the paper.

---

[22] იქვე.